

საქნახშირი

პრესრელიზი

კომპანია „საქნახშირის“ განცხადება

„საქნახშირი“ ჯი-აი-ჯი ჯგუფმა, ტყიბულში 13 წლიანი ოპერირების შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკუთარი აქტივები სიმბოლურ ფასად გადაეცა კომპანია „Steell International trades company“-ისთვის, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს მიერ იყო რეკომენდებული.

„ჯი-აი-ჯი“ ჯგუფმა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოთქვა სურვილი საწარმო სახელმწიფოსთვის ან დაინტერესებული მხარისთვის გადაეცა. წინაპირობა კი ის ტრაგედიები იყო, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე მიძიმედ დაატყდა კომპანიას. ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ, საწარმო არაერთხელ დადგა რეალობის წინაშე, შეეჩერებინა შახტებში მუშაობა. „ჯი-აი-ჯი“ ჯგუფს, მორალური თვალსაზრისით, ერთი დამარცხებული მემხატის სიცოცხლედაც არ უღირდა გაეგრძელებინა ბიზნესი, მაგრამ კომპანია ასევე აცნობიერებდა შახტების სასიცოცხლო მნიშვნელობას ქალაქის არსებობისთვის. შესაბამისად, ხდებოდა პროცესის განახლება. პარალელურად, საწარმო ცდილობდა მოეგვარებინა ყველა ის პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა შრომით უსაფრთხოებას.

2018 ივლისში მოხმადარი ტრაგედიის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის ბრძანების თანახმად, ტყიბულში ნახშირმოპოვებითი სამუშაოები შეჩერდა. თუმცა კომპანია, ნაწილობრივ სახელმწიფოს დახმარებით, ამ ერთი წლის განმავლობაში ახერხებდა ყველა ვალდებულების შესრულებას: დასაქმებულებისათვის ხელფასების გადახდას, დაზღვევის ანაზღაურებასა და მიმდინარე ხარჯების დაფარვას. ემებდა პრობლემების მოგვარების სხვადასხვა გზას, რათა მომხდარიყო სამუშაო პროცესის აღდგენა, გაცილებით უფრო დაცული გამხდარიყო მემხატის შრომა.

ამ პროცესში კომპანიამ არაერთი უცხოელი სპეციალისტი თუ ჯგუფი ჩართო. მიმდინარეობდა ახალი ტექნოლოგიების და მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლა, მორგება ტყიბულის შახტებზე, რომლებსაც გამორჩეულად რთული სპეციფიკა და



საქნახშირი

პრესრელიზი

სამთო-გეოლოგიური მახასიათებლები აქვს. ყოველივე ამის შემდეგ, დაგეგმილი იყო ძირეული ტექნოლოგიური ცვლილებები, რადგან კომპანიამ ჩათვალა, რომ არსებული ტექნოლოგიით ნახშირის მოპოვება უსაფრთხო არ იქნებოდა.

კომპანია „საქნახშირი“ ჯი-აი-ჯი ჯგუფმა, ტყიბულში ოპერირება 2006 წლიდან დაიწყო და, 90-იანი წლების იძულებითი უმოქმედობის შემდეგ, შახტებში ნახშირმოპოვებითი სამუშაოები განაახლა.

ტყიბულის რეგიონში შეიქმნა 1 500 ახალი სამუშაო ადგილი. 2006 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში, დასაქმებულთა რიცხვი 80 ადამიანიდან 1 564 ადამიანამდე გაიზარდა. შესაბამისად ყოველთვიური სახელფასო ფონდი 200 000 ლარიდან გაიზარდა 1 300 000 ლარამდე.

შესყიდვის დღიდან კი, საწარმოში განხორციელებულია 70 მლნ ლარზე მეტი ინვესტიაცია, მართო შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მიმართულებით 2016-2018 წლებში კომპანიამ განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება საერთო ჯამური ღირებულებით 2 509 200 ლარი.

შპს „საქნახშირი“ ადგილობრივ (მუნიციპალურ) ბიუჯეტში წლების განმავლობაში უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო, კომპანიის ოპერირებიდან დღემდე ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 74 მილიონ ლარს გადააჭარბა.

კომპანია წლების განმავლობაში ახორციელებდა მნიშვნელოვან სოციალურ პროექტებს და აქტიურად იყო ჩართული ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

11.10.2019

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

